

# სნობის ფურცელი

VI. ყოველ-ღიუბი გამოცემა 1901 ორშაბათი, 1 იანვარი № 1343

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფაი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „ტეტიტო“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.  
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „სნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-ზის კიოსკში (ქვეშევთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერილი წერილები არ დაბეჭდვება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის „სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უძმების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.  
რედაქციის კანცელარია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუხოვის სახლში, № 27.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моამბე“. ტელეფონი № 372.

**1901 წლისათვის მიიღება ხელის მოწერა „მოამბე“-სნობის ფურცელ“-ში**

**ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“**  
(წელიწადი მერვე)  
ფასი ჟურნალისა გაცხადებით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით . . . . . 10 მ.	1 წლით . . . . . 13 მ.
6 თვით . . . . . 6 „	6 თვით . . . . . 7 „
3 „ . . . . . 3 „	3 „ . . . . . 5 „

**წლიური ფასის განაწილება:**  
ზარგულად—5 მანეთი, 1-ლ ანაბეჭდვად—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

**ყოველ დღიური გაზეთი „სნობის ფურცელი“**  
(წელიწადი მერვე)  
ფასი გაზეთისა გაცხადებით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით . . . . . 6 მ.	1 წლით . . . . . 9 მ.
6 თვით . . . . . 4 „	6 თვით . . . . . 7 „
1 „ . . . . . 75 კ.	1 „ . . . . . 90 კ.

**წლიური ფასის განაწილება:**  
ზარგულად—3 მანეთი, ზარგულ ანაბეჭდვად—3 მანეთი. თათო ნომერი—3 კაპ.

ფიქს „მოამბე“-ს მთელი წლით გამოიწერს, „სნობის ფურცელი“-ს უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნად ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათვის უნდა იქმნას შემოტანილი.  
განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4—5 კაპ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაბეჭდვება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები იღირება  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамბე“ и „Цнобисъ-Пурцели“.  
რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუხოვის სახლში. ტელეფონი № 372.

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ., ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ იქმნება

## ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის თანხის გასაძლიერებლად.  
ბილეთი ღირს 2 მან. და 10 კაპ.

ქალბენისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არა რს. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივ ტანისამოსი და დანარჩენებისთვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.  
ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შევიცართან.  
(8-4)

გამოვიდა და ისყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში

### საქართველოს ისტორია

აკადემიკოსის ბროსესის, ფასი 70 კაპ.  
თარგმანი ს. დოდოგორაძის, გამოცემული ნ. დოდოგორაძის მიერ.  
იქვე ისყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ. (5-3)

სწორედ მაღალად გაუხდა მრავალ საუკუნეთა ქრილობას. უბედურმა ქვეყანამ შეისვენა და ნელ-ნელა ძალებს იკრებს. ახალი პატრონმა განაშორა მას გარეშე მტრები და მოუწესრიგა შინაური ცხოვრება. ერმა ხმალი ჩააგო, გააღო კარები, მიხედ-მოიხედა და შეუდგა მოქალაქობრივ ცხოვრებას. ძველს პატრიარქალურს, აზიურს წყობილებას ნიდავი შეურყია ევროპის კულტურამ, რომელმაც სხვა გზა უჩვენა ერს და მომავლის იმედები გაუღვიძა...

მეცხრამეტე საუკუნე ჩვენში ორ ეპოქად იყოფა, რომელიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთში. მესამეცე წლებამდის ქვეყანას უფრო ძველში უდგია ფეხი. ომი ლეკებთან და გარეშე მტერთანაც არ იყო დასრულებული; ხოლო შინ ისევ ბატონ ყმობა ჰსუფევდა და ფეოდალური წეს-წყობილება ერს სულს უხუთავდა. მაგრამ დაპყრობისათვის უფლებების ნიადაგს, გაწყდა მონობის ჯაჭვი და მომზადდა სრულიად ახალი ნიადაგი განვითარებისათვის. ვაჭრობა-მრეწველობა, ლიტერატურა, სწავლა-განათლების საქმე—ყოველივე განახლდა, ყოველივე დაპყრობისა და ჩაება საერთაშორისო ევოლიუციის ფერხულში. ამიერიდან მისი გზა მთელის განათლებულის კაცობრიობის გზაა, მისი განვითარების კანონები უნდა დამოკიდებული იყოს განათლებულ ერების პროგრესის კანონებს...

მოკლედ აღსანიშნავად ახლად დასრულებული საუკუნის მნიშვნელობისა ჩვენში უნდა ვთქვათ, რომ მას ახასიათებენ შემდეგი მომენტები: გავრთიანება საქართველოსი, საომრო ფეოდალურ წყობილების მოსპობა და მოქალაქობრივი ხანის დაწყება, გაღვიძება ერის თვითცნობიერებისა, — ერთი სიტყვით ევროპიულ კულტურის განვითარება.

ზევით ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატება გააკვირვებს კაცს, თუ იგი შეადარებს მეოცე საუკუნის დასაწყისს მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანას. მაგრამ ამავე ვერ ვიტყვით, თუ შევადარებთ ჩვენი ქვეყნის ზრდას გასულ საუკუნეში სხვა ერების განვითარებასთან. დიდი, ძალიან დიდი მუშაობა გვჭირია: დიდი მხნეობა გვმართებს, რომ შიში აღარ გვქონდეს და ცემისა. მეცხრამეტე საუკუნე ჩვენ გამოგვიყვანა ახალსა და დიდებულს გზაზე, მეოცე საუკუნე უნდა გავვაძარკოს ამ გზაზე.

### ქართული თეატრი

ს ა მ შ ა ბ ა თ ს, 2 ი ა ნ ვ ა რ ს 1901 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ

#### წარმოდგენილი იქნება

ქართული თეატრის დაფუძნების სახსოვრად

### დავა, ანუ გოჩკა ზაპიაგაია

კომედია 1 მოქმედებად თ. გ. ერისთავისა.

ს ა მ შ ა დ ი ს ი

სცენები 1 მოქმედებად პ. უმიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვი-აფშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზი-შვილისა, კარგარეთელისა, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი და გარელი; ბ-ნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელიაკი, ადამიძე, ურუშაძე, მირიანოვი, ავალიანი, იმედაშვილი, იორდანიანი და სხვ.

შეძვევა წარმოდგენას დაწესდება ბუნეფისა ტასო აბაშიძისა.

დასაწყისი 8 საათზედ. რეჟისორი პ. გუნია.

1-ლი იანვარი 1901 წელიწადი.

დღევანდელ დღიდან იწყება არა მარტო ახალი წელიწადი, არამედ ახალი საუკუნეც. შესანიშნავმა მოხუცმა — მე-XIX საუკუნემ — განუტევა თავისი მრავალტანჯული და მასთანავე დიდებული სული...

მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო ეს საუკუნე ჩვენის ქვეყნისათვისაც: მის განმავლობაში სრულიად გამოიკვალა ჩვენის ერის ცხოვრება, სრულიად სხვა კალაპოტში ჩადა იგი. საუკუნის დასაწყისში მოხდა შესანიშნავი ფაქტი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ჩვენს ახალ ისტორიაზე. საქართველო შეუერთდა რუსეთს და დიდი ახალი ხანა ჩვენს უძველეს ისტორიაში.

მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში. მთელი საქართველო აწიოკებული იყო; მეფის ოჯახში საშინელი არეულობა, ფეოდალებს შორის გამომავალი მტრობა, ხალხის დრტინვა მძიმე უღელის ქვეშ, ქვეყანა აკლებული და გაობრებული მულმივ გარეშე მტერთაგან, — ყოველივე ეს დიდს სასოწარკვეთილებაში აგდებდა თითო-ორიოლა სამშობლოს გამჭირავს მოყვარეს.

რომ შევადაროთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა იმ საშინელს ხანასთან, კიდევაც გავვიკვირებოთ ჩვენი წარმატება. ნამდვილი აზიური ცხოვრება შეიცვალა და დიდი ევროპიული ხანა ჩვენის განვითარებისა. კარჩაკეტილი ქვეყანა მხოლოდ იმით იყო სულდგმული, რომ მოეგრა ათასი მტერი. მისი ხმალი არ ჩაგებულა მრავალ საუკუნის განმავლობაში. ქვეყანა, რომელიც მუდამ ბრძოლის ველი იყო, აუცილებლად უნდა დასუსტებულიყო და დეარდნილიყო; ზნეობრივი და გონებრივი ძალა ერისა უთუოდ თნდა შესუსტებულიყო მოუსვენრობისა გამო.

აწ დასრულებული საუკუნე ამ მხრით

მოკლედ აღსანიშნავად ახლად დასრულებული საუკუნის მნიშვნელობისა ჩვენში უნდა ვთქვათ, რომ მას ახასიათებენ შემდეგი მომენტები: გავრთიანება საქართველოსი, საომრო ფეოდალურ წყობილების მოსპობა და მოქალაქობრივი ხანის დაწყება, გაღვიძება ერის თვითცნობიერებისა, — ერთი სიტყვით ევროპიულ კულტურის განვითარება.

ზევით ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატება გააკვირვებს კაცს, თუ იგი შეადარებს მეოცე საუკუნის დასაწყისს მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანას. მაგრამ ამავე ვერ ვიტყვით, თუ შევადარებთ ჩვენი ქვეყნის ზრდას გასულ საუკუნეში სხვა ერების განვითარებასთან. დიდი, ძალიან დიდი მუშაობა გვჭირია: დიდი მხნეობა გვმართებს, რომ შიში აღარ გვქონდეს და ცემისა. მეცხრამეტე საუკუნე ჩვენ გამოგვიყვანა ახალსა და დიდებულს გზაზე, მეოცე საუკუნე უნდა გავვაძარკოს ამ გზაზე.

### ტფილისის კერძო სამკურნალო

გაუჩინალის მიხეილ გადვანაშვილისა.

აუღმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უძმეების გარდა,

ღ ა ღ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — 10 სსათამდე.

მიხეილ ა. გედეგანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრით — 9 — 10 ს.

ნ. ა. მუხიანი — ეურისა, ეელისა და ცხვირისა — 10 — 11 სსათამდე.

ო. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 — 2 სსათამდე.

ა. ნ. შატალაძე — თვალისა 11 — 12 ს.

კვირი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბაგუბისა 11 — 12

დ. ა. გედეგანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12 — 1 სსათამდე.

გ. ა. მარკუციანი — სდასტარო 12 1/2 — 11 1/2 სსათამდე, სმშპათობით 3 — 4 სსათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და სსაზრდესი — 1 1/2 — 2 სსათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ:

ო. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 სსათამდე.

სამკურნალოს აქვს საწალი ოთახები.

ფასი რეჟისისა და დარბევისა 50 კა; ობე-რაციები — მორიგებით. კრატი 4 მან დღე და ღამეში. ერთი კრატი დარბითათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სსხლი სკინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დარბეობის სამკურნალოსი (ქ.) მიხეილ გედეგანიშვილი

30 დეკემბერი.

**პეტროპოლისი.** 29 დეკემბერს გარდაიცვალა სახემწიფო საბჭოს სასულიერო და სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სელიფანოვი.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი პირლეში, — დიდი ცენტრალური ადგილია ჰოლანდიელებით დასახლებული, — იტყობინება დეპეშით: „დღეს დიდ საერო კრებაზე მოვიდა მაიორი კაპესი, როგორც კომენდანტი, თანახმად გამოცხადებულ სამხედრო მდგომარეობის კანონებისა“.

30 დეკემბერი.

**პეტროპოლისი.** 29 დეკემბერს გარდაიცვალა სახემწიფო საბჭოს სასულიერო და სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სელიფანოვი.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი პირლეში, — დიდი ცენტრალური ადგილია ჰოლანდიელებით დასახლებული, — იტყობინება დეპეშით: „დღეს დიდ საერო კრებაზე მოვიდა მაიორი კაპესი, როგორც კომენდანტი, თანახმად გამოცხადებულ სამხედრო მდგომარეობის კანონებისა“.

ნებისა. იმან გამოსთქვა მკაცრი სიტყვებით, რომ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი არ შეიძლება...

მადონა მკაცრად ჩინეთთან მოლაპარაკების დასაჩქარებლად გაუგზავნა კონჯერს...

პაპიანი. ცინმა მიიღო იმპერატორის სახლობისაგან დეკრეტი, რომელშიც წინააღმდეგობა...

გერმანელებს განზრახვა აქვთ გამართონ პარადი იმპერატორის ძმის, პრინცი ჩუნის პატივსაცემად...

ლონდონი. კიტჩენერის დეკრეტის ბრტყობიდან: „გუშინ საღამოს ბურბუნი იერში მიიტანეს მახადლორფხედ...“

შენში შესული ბურბუნი ორ ნაწილად გაიყვანა, ერთი წავიდა ჩრდილოეთისაკენ...

ბელგრადი. მეფე ალექსანდრემ უბოძა თეთრი არწივის 1-ლი ხარისხის ორდენი...

ლონდონი. „მორინგ პოსტ“-ის ვაშინგტონელ კორესპონდენტს გაუგია გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრს ლამსდორფს...

სოფია. ვაზეთებ ს სიტყვით, საზოგადო მოშაობათა მინისტრს ტონჩევს და ვაჭრობისა და მიწად მოქმედების მინისტრს ტიტოროვს...

პატივცემუბანი. გამოცხადდა დედოფლის მარიამ თეოდორის ასულის რესკრიპტი ფინანსთა მინისტრისადმი...

(სადაც დაეშუბა ის შეათხე გვერდზე)

ქურნალ-გაზეთებიდან

დღეი ამბები მხსნება მალე სმსრუთადი კაში. როგორც იქნება კანტატიდან 22 დეკემბრის რიცხვით, ბურბუნი იმყოფება...

ინგლისელები, ბურბუნიც ტუველ წავსახენი, უფლები მადლიერი არაან ამ რანდელი, კეთილ-მოხილი სხვისსა...

შემდეგ ტუველები იტყობიან, რომ ბურბუს არსებობაში იფურგნება არა ქტანდათ; ისინი ინგლისური თოფებით იფუნენ შეარდაბურბუნი...

კრიუკერის ავადმყოფობის შესახებ კანდიან სწერენ მავადებურკერ ცაიტუნგს, რომ ტუველი შიში გამოვლინა ბრანსიტო, რომელიც...

უფრო მხრიდან შეიწროებულნი და დატრუნებულნი კიტჩენერის და მისი დამაქუბის უღიერის მართებლობით...

ქეთვიანი, —სიტყვა ღირდა, —ქალი სასამონოა თქვენს წრეში უფრო, რადგანც გჭოფობ, რომ თქვენც უფროა მონდობილნი ხართ...

შემდეგ კიტჩენერს უდაზრავია იმანაკებზე, რომელთაც ის გაქმარავს დამონებულ ბურბუნი...

როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა კიტჩენერს მისთვის არაინდული კეთილმოხილობისათვის...

ამით ხალხად მტკიცდება, რომ აქამდე ინგლისელი ჯარები სწავდნენ იმ ბურბუნი ფერმებსაც, რომელთაც არსებობა მონაწილეობა არ მიუღიათ ბრძოლაში...

ერთი ინგლისურ ჟურნალში დაბეჭდილია სკამად ვრცელი წერილი, რომელშიც აწერილია, თუ რა ხარბობაში სცნობენ ბურბუნი...

ეს ბანაკები, სადაც ტუველები სცნობენ, წარმოდგენენ სცნობაც, დაბალ ქონებს, უბრალოდ გაკეთებულს ადრეს ტრტებისა და მქლის ბოჭკების ფინგებისა...

ქონები იცვით, რომელიც მათ ქტანდათ ბრძოლის დროს. ამ კუნძულზე ბურბუნი მიიყვანეს...

უფლები და ვაჭრობის მინისტრს ტონჩევს და ვაჭრობისა და მიწად მოქმედების მინისტრს ტიტოროვს...

უფლები და ვაჭრობის მინისტრს ტონჩევს და ვაჭრობისა და მიწად მოქმედების მინისტრს ტიტოროვს...

ახალი ამბავი

გუშინ, 31 დეკემბერს, ტფილისში ჩამოვიდა რუსეთიდან კავკასიის მთავარი მართების თანამშემე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

გზათა სამინისტროს მოწერილობა გამოუგზავნა ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსისათვის, რათა მან საქორა ღონისძიებანი მიიღოს ხსენებულ რკინის გზაზე...

როგორც გვატყობინებენ, ცნობილ ფრანგ ბ. მურაგს განუზრახავს გაიყვანოს რკინის გზა ქუთაისიდან ხონამდე და სამტრედიამდე. ამ გზის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი უკვე შეუდგენია ბ. მურაგს და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისთვის წარუდგენია...

როგორც გვატყობინებენ, ცნობილ ფრანგ ბ. მურაგს განუზრახავს გაიყვანოს რკინის გზა ქუთაისიდან ხონამდე და სამტრედიამდე. ამ გზის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი უკვე შეუდგენია ბ. მურაგს და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისთვის წარუდგენია...



ნაც ამ ქამად ძლიერ დიდი მიმოსვლა ხსენებულს დაბესა და ქალაქს შუა. დღემ 300 მეტი პასაჟირადის და შოდის 25 მეტი დილიტებით და ეტლებით.

➔ პარასკევს, 29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის გუბერნატორის ბინაზედ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის ბ-ნ სვეინის თამჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა წასულ წელს ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტს. სხდომას დაესწრნენ თითქმის კომიტეტის ყველა წევრები. კომიტეტს უმთავრეს განსახილველ საგნად ჰქონდა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დანგრეულ სახლების აშენებისა და დაზიანებულ სახლების შეკეთებისათვის საჭირო ტყის მასალის დარიგების საქმე. სხდომამ აღნიშნულ მიზნისათვის შემოწირულ ფულების რაოდენობის გამოკვლევა გადასდო 8 ამა იანვრის განზრახულ სხდომისათვის, რადგანაც ყველა ეს საკრედიტო დაწესებულებანი, სადაც ინახება შემოწირული ფული მხოლოდ 1 იანვრისათვის წარუდგენენ კომიტეტს ანგარიშს. როგორც სხდომამდე წაითხულ ცნობებიდან გამოიკვია, კომიტეტს დღევანდლამდე აუშენებია შეიდი სახლი ობლესათვის შემდგეს სოფლებში: იხტილაში, მერენიაში, პატარა სამსარაში და ბაღოში. გაზაფხულზედ ეს სახლები შემოწმებულ იქნება კომიტეტისაგან, თუ რამდენად მოსახერხებელი და სამყოფი იქნებიან ისინი ობლესისათვის. ამას გარდა დანგრეული და დაზიანებული სახლებია: იხტილაში დანგრეული 44 და დაზიანებული 25, მერენიაში — 82 და 30, პატარა სამსარაში — 9 და 30; დიდ სამსარაში — 17 და 29, ხოლო ბაღოში — 10 სახლი დანგრეული, ხოლო 24 დაზიანებული. სულ აღნიშნულ სოფლებში ასაშენებელი 162 სახლია და შესაკეთებელი 138. კომიტეტმა დაადგინა, ააშენოს აღნიშნულ სოფლებში 162 სახლი, რისთვისაც კომიტეტს დასჭირდება სულ 64,800 მან. სახლების აშენება კომიტეტს უფრო მოსახერხებლად უცვინია იჯარით გასცეს. რაც შეეხება 138 დაზიანებულს სახლს, კომიტეტმა გადასწყვიტა შემწეობა აღმოუჩინოს ყველას, თუ ტყის მასალითა, თუ ფულად, სადაც ეს საჭირო იქნება. როგორც მკითხველებმაც იციან, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ სოფ. ბაკურიანის ტყეებიდან დიდძალი ხე-ტყე აჩუქა კომიტეტს ახალქალაქის მაზრაში სახლების ასაშენებლად-შესაკეთებლად. ამ ხე-ტყიდან ახალქალაქის მაზრაში უკვე გადმოღობილათ 1/4, ხოლო 3/4 მასალის იქვე დარჩენილა. რათა მასალა კომიტეტს არ გაეფარტოს, დაადგინა მანვე თვალყურის დაკვირვება ტყის მცველის თანაშემწეს ბ-ნ ქარსელაშვილს. სოფ. ბარაღეთისა და არაგვაში სასოფლო სკოლების დაზიანებულ შენობათა შესაკეთებლად კომიტეტმა გადასდო 3,500 მან.; სხდომამდე აღიძრა საკითხი ახალქალაქის მაზრაში გოტენტე-ტურ ბაღინჯოს და სხვა მწერებისაგან მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში ჩაყვინულ 40 სოფლის მცხოვრებთათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. რადგანაც კომიტეტს ხელად ამის შესახებ არავითარი ცნობები არა ჰქონია, მან დაადგინა შეპკრიბოს ადგილობრივ ცნობები, თუვის რამდენი შემწეობის აღმოჩენა ესაჭიროება. შემდეგი სხდომა კომიტეტს ექნება ორშაბათს, 8 იანვარს.

➔ როგორც „კავკასი“ შეუტყვია, ტფილისის თავად აზნაურების არა ჩვეულებრივ კრების ოქმი შესახებ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის შესრულების იუბილეისა, არსებულის წესის მიხედვით, უკვე წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

➔ მიმდინარე წელს სამხედრო ბეგარს ექვემდებარებიან ის ახალ-გაზღვანი, რომელნიც დაიბადნენ 1879 წლის პირველ ოქტომბერსა და 1880 წლის 1-ლ ოქტომბერს შუა.

➔ ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუდგინა — შეივსოს წყლის მილის აბონენტებზე დარჩენილი გადასახადი ამ აბონენტების გირაით წარმოდგენილ ფულებიდან.

➔ დღეიდან ძალაში შედის ტფილისის საბჭოს დადგენილება, რომელიც გუბერნატორთან იყო წარდგენილი დასამტკიცებლად და რომლის ძალით ქალაქის გამგეობამ მიმდინარე წელს უნდა იხელმძღვანელოს წარსულის წლის ხარჯთ აღრიცხვით.

➔ რადგანაც ქალაქის ლომბარდის წმინდა შემოსავალი, წესდების ძალით, საქველმოქმედო და სახალხო განათლების საქმეს უნდა მიხმარდეს, ქალაქის გამგეობამ რამდენჯერმე მოსთხოვა ლომბარდის გამგეს, რათა 1898-ისა და 1899 წლის წმინდა შემოსავალი — 7345 მანეთი და 47 კაპ. წარმოადგინოს ქალაქის კასსაში. მაგრამ, რადგანაც ეს ფული საქმეში იყო დაბანდებული, გამგეს აქამდე არ წარმოუდგენია იგი. ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოსთხოვოს რომ ლომბარდის გამგემ ამ წლიდან ყოველ კვირა წარადგინოს ხუთას-ხუთასი მანეთი, სანამ არ გათავდება შემოუტანელი ჯამი (7345 მ. 47 კ.).

➔ დღეს, 1 იანვარს, ავქალის ქუჩაზე, სახალხო თეატრში, გამართულ იქნება დილის წარმოდგენა ღირბე მშობლების ბავშვთათვის. წარმოდგენილ იქნება რუსულიდან გადმოთარგმნილი 4 მოკმედებიანი პიესა „მიჯობანი“. წარმოდგენა დილის 12 საათზე დაიწყება.

➔ ხვალ, 2 იანვარს, ქართულ თეატრში საიუბილეო სადღესასწაულო წარმოდგენა იქნება გამართული. წარმოდგენილი იქნება, მთელის დასის მონაწილეობით, გერისთვის ცნობილი პიესა „დავა, ანუ ტრაგედია და ზაპიატაია“ და პ. უმიკაშვილის სენსაციური „სამზადისი“.

➔ როგორც „ივერიის“ კორესპონდენტი იტყობინება, კავკასი შობა ღამეს გამართულ საღამოს, ადგილობრივ ქართულ სკოლის სასარგებლოდ, ყოველ მხრივ კარგად ჩაუვლია. წმინდა შემოსავალი 1400 მანეთამდე ყოფილა.

➔ ნაბღის ქარხნის პატრონი ადელხანოვი ედავება „სალამანდრას“ საზოგადოებას 12 ათას მანეთს. ხსენებულ საზოგადოების აზრით, ეს ფული ბევრად აღემატება ადელხანოვის ზარალს ამ დღეებში ცეცხლის გაჩენისაგან.

➔ ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოს სხდომები ექნება მიმდინარე წელს ხუთ შაბათობით.

➔ 17 იანვარს ადგილობრივ სამხედრო სასამართლოში მეორედ გაიჩვენა საყურადღებო საქმე თელავის მაზრის სამხედრო უფროსის საქმის მწარმოებლის სტანიშევსკისა, რომელსაც ბრალად ედება სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა. ამ საქმის პირველი განიხილვა დაარღვია უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ.

➔ ტფილისის პოლიცემეტრმა ბრძანება გასცა, რათა პოლიციელებმა ახალ-წელიწად დღეს არ ჩამოიარონ სახლები მისალოცადად.

➔ დაურიგეს ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთ 150 უფასო ბილეთი ცხენის რკინის გზისა. სხვათა შორის, ეს უფასო ბილეთი ქალაქის ექიმებსაც მისცეს, ბებია ქალებს კი უარი უთხრეს.

➔ 30 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე, საქონლის მტარების № 245 მემანქანე ანუ შკინისა და უფროსმა კონდუქტორმა ზუპმა მე-432 ვერსზე ამოერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ფოთიდან ამაჟნეს მკვდარი, რომელიც ჩავარდნილია მტარებლიდან. მანქანა გადმოვარდნისას ვერ არ იტანა. მკვდარს აღმოაჩინა კონდუქტორი ნესტორ ნადირაშვილი. გარდაცვალებულის გვამი რკინის გზის ზოლივას გადაეცა.

**პოლ ადამის აზრი ჩვენს შესახებ**

ფრანგულ გაზეთ „ქურნალ“-ის ქრისტე-შობისთვის ნომერში დაბეჭდილია მეთაური

წერილი ფრანგთა ცნობილ მწერლის პოლ ადამისა, რომლითაც პატივცემული ავტორი საზოგადო პოლიტიკურ მსჯელობის შემდეგ ფრანგ მკითხველებს გაკვირია ჩვენს ქვეყანასა და ხალხსაც აცნობს. ბ-ნი ადამი ჯერ აქებს ბ-ნს რაფ. ისარლიშვილს პროფესორის ალ. ხახანაშვილის თხოულებით „საქართველოს ისტორიის“ ფრანგულს ენაზედ გამოცემისათვის და მეგრე განავრძობს: „ამ წიგნის საშუალებით კაცი ადვილად ითვალისწინებს ამ პატარა ხალხს ქართველთა ტომისას, რომელიც იძულებულ იმნა სომხებისა და ასურელთა მოწალის მიხედვით, მტკვრის ველისა და კავკასიონის კალთითისაკენ დაეწია. ამ ერს რიგ-რიგად ჰყავდა ბატონებად ძლიერნი და ქვეყნის დამპყრობნი ერნი, გარნა მეშვიდე საუკუნიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე მოაღწია და საბოლოოდ მაინც არ განქრა, არ დაუკარგავს არც თავისი ენა, არც სარწმუნოება და არც თავისი ზნე-ჩვეულება. არაბთა შემოსევის შემდეგ ქართველებმა პირდაპირ საბერძნეთს მიჰმართეს და მფარველობა სთხოვეს, ხოლო თამარ-მეფის, კავკასიის სემირამიდის, დროს საქართველო ბრწყინვალე და დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა, მათად საბერძნეთის განათლებით მოსილი და მტკიცე საძირკველზე დაყენებული იმ მირონცხებულისაგან, რომელიც ათონზე განათლება მიღებულ ბერების ხელმძღვანელობით იყო აღზრდილი. სახე ამ საკვირველის ქალისა, რომელიც მე-XII საუკუნის მიწურულში და XIII საუკუნის დასაწყისში სცხოვრებდა, დახატულია მსგავსად ღვთის-მშობლის ხატისა. თავზე ადვას ძვირფას თვალ-მარგალიტით შემკული გვირგვინი და გულზე ჰქილია ოქრომკედით ნაკერი ორარი. თამარმა დაარსა ლეგენდარული იმპერია ტრაპიზონისა, რომელიც მის სიცოცხლის შემდეგ კომუნებმა დაიპყრეს. თამარი გარდაიცვალა თუ არა, ისევე გამოჩნდნენ მულაღნი, რომელთაც საქართველოს მეფეებს ტახტი წაართვეს და თავის სურვილისამებრ შეარჩინეს ზოგი რამ უფლებანი. მულაღნი მანამდე ფარფაშობდნენ საქართველოში, სანამ თურქები სტამბოლში გაბატონებულნი, თავის მხრივ, ტფილისშიაც არ გაბატონდნენ. მას შემდეგ საქართველოს მეფეს სამეფო გვირგვინს მაშინ-ღა აღირსებდნენ, თუ სჯულს გამოიცვლიდა და მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელი ვახდებოდა. მარაღანი, ქართველნი მეფენი სჯულს იცვლიდნენ, მაგრამ მიუხედავად ამ გარემოებისა, მაინც მფარველობდნენ თვისთა ქვეშევრდომთა ქრისტიანეთა სარწმუნოებას და ამრავლებდნენ მონასტერ-ეკლესიათა რიცხვს. მე-XVII საუკუნეში ხალხი აღსდგა, და თურქები საქართველოდან განდევნილ იქნენ. მაგრამ ამ დროს სპარსი მოვიდა, ქართველთა სძლია და მათი ქვეყანა დაიპყრო. ერეკლე II, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სცხოვრობდა, როგორც სურათი გვიჩვენებს, შეეწვერა, სურათი ცხვირი და ირანული განიერი თვალები აქვს; თავზე აშტრაბანული ქუდი ხურავს და სურათზე ისპანის მპყრობელსა ჰგავს. ეს მეფე ქართველთა დაუმეგობრდა რუსებს და თურქთ ომი გამოუცხადა. ამ პოლიტიკის გავლენით საბოლოოდ მოამზადა ის დრო, როცა თავისი სახელმწიფო მოსკოვის ბედ-იბაღს შეუერთა. ეს შეერთება გამოცხადებულ იქნა 1801 წლის 12 ენკენისთვის აღექანდრე I-ლის მიერ.

„... დღეს ტფილისი მდიდარი ქალაქია; საქართველოს დიდ-ძალ ქირანხელი მოჰყავს საფრანგეთში გასაზავნად. სახელი-ღა დაჩა იმ ურდოთა, რომელიც უცდენ საუკუნეთა განმელობაში მისის სისხლით მარწყულ მიწასა სთელავდნენ. მართალია, ყველანი ამ ერს იბრყებდნენ და სწავრავდნენ, ყველა იმას ამარცხებდა, მაგრამ დღეს ეს ერი მაინც ბატონია თავის ქვეყნისა და კეთილდღეობითა ხარობს, ვინაიდან ეს ერი არის — ერი მწარმოებელი.

**პრესსა**

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი გვატყობინებდა, რომ „ქალაქმა გარდასწყვიტა იყოლიოს საკუთარი ბეთილი“-ო. გაზეთმა „ნოვ. ობოზრენიე“-მ გადათარგმნა ეს ცნობა ასე: „городъ рѣшилъ учредить должность городского ветеринарнаго врача“-ო, რაც სრულებით იმას არნიშნავს, რაც ჩვენ გვქონდა ნათქვამი. ამით ისარგებლა ცნობილმა გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკი“-მ (№ 289) და საქვეყნოდ გამოაცხადა, აი „ცნობის ფურცელი“ რა მოგონილ ამბებს ავრცელებსო. ამ გაზეთს რომ კეთილსინდისიერება მოეთხოვებოდეს, თვით ჩვენი გაზეთის ის ნომერი უნდა ენახა, სადაც ბათუმის ეს კორესპონდენტი იყო დაბეჭდილი. მაგრამ სად კეთილსინდისიერება და სად ეს ვერედ წოდებული გაზეთი!

**საახალწლო მესარობაში**

**„ივერია“**  
არ გვწყინს, სუქნად რომ ბერდები თეთრის წვერი, ივერია! შოლოდ... შენი მკითხველები ჯანდაკე და მშვიდია!..

**„გვასა“**  
„კატამ შექამა ძევიო, ამოიკვეთა ფეხიო“. აბა, რაც არ შეგძლიან, ტყუილად რად იყვირიო?!

**„მოამბესა“**  
„დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებ...“ შენც ხომ გზები არ შეგეკრა, აბა, რისთვის იგვიანებ?!

**ქართულს თატრს**  
სხვა რა გიოხრა, შე საბრალოო, სანუგეშო ამის მეტი: შენ უცხო მტერი არა გაყავს... მარტო ოდენ კომიტეტი!

**ჩვენს ქარვასლას**  
ქეშარიტად, მეტრალეები, ჩავარდნილხარ უვიციო ხელში: გქვეჩიან და გაწყაბენ, თოჯს გიქურენ მოხუცს ყელში! ყველასა შაურს, ისარგებლოს დანჯღრეულის შენის ჩინებით... ოჰ, უსაქმო ეს ბებრები... უნდა გარხვეტუნ ცოცხითი!..

**კალისტრატეს და ლალუს**  
„ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“... (მოსვენება იმერეთსა) კალისტრატე და ლალუა ღმერთმა ამოროს თვით მტერსა!

**ჩვენს ტუნზორს**  
ვითომ სწუნობ ჩვენს ნაწერებს... მაგ მხრივ ჰხედნი შენსა მერანს?! ტყულა, ძმო... მთელს ჯამაგირს გადააღვე წითელს მეღანს!..

**ლ უ ღ ხ ა ნ ა შ ი**  
(ესკიზი)

ქალაქის განაპირა ქუჩის ორის მხრივ ასდევდნენ ძველი, კრამიტით დასურული ერთსართულიანი სახლები. ზოგს მათგანს ოდესღაც თეთრად შეღესილი კედლები ალაგ-ალაგ ჩამოსციროდა და ზედ რაღაც სურათები იყო გამოსული. ზოგან ქერსკრამიტე ჩამტვრიდა; ერთს რიგზე გამოწყობილი წითელი ავუერის ბუხრები ისე დაჰყურებდნენ ვიწრო №-ს ქუჩას, თითქოს

ჰშიზობენ არაინ მოიბაროს იგო. აქა-იქ სახლის წინ, სანაგვეზე ბელურა ჩიტები წრიბინებდნენ. ამ პატარა ფრინველებს ძლიერ უყვარდათ ეს ქუჩა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქ ისინი უფრო ბლომად ჰპოულობდნენ საქმელს და, მეორეც, მათ აქ არავინ ირ აწუხებდათ. დილიდან საღამომდის მათ განკარგულებაში იყო ქალაქის ეს კუთხე და ისინიც ხან ქუჩას ჩაუვლიდნენ ხოლმე სივრცეზე, ხან ბუხრის თავებზე შეკაპწიავებულნი ფეხით იწმენდებდნენ მოუსვენარს ნისკარტს. ამ ქუჩის ყოველ დღიურ მორთულობას შეადგენდნენ აგრეთვე სამი-ოთხი ბერი-კაცი, რომელნიც, ამოვიდოდა თუ არა მზე, შეუღმწველად გამოძვრებოდნენ საიდანლაც და კარნიზებ ქვეშ მიჰყუდებდნენ ზურგს გადახეხილს კედელს. ისინი ისხდნენ ჩუმად, თითქოს ეშინოდათ არ დაერღვიათ მის ქუჩის მყუდროება; მხოლოდ ხანდახან მზეს გაჰხედებდნენ და შეიშინებოდნენ მხრებით, რომ მზის სხივს უფრო კარგად გაველო მათ ბებერ ძელებში. ასეთი იყო მის ქუჩა დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე; მაგრამ ამის შემდეგ კი სულ სხვა ნაირად იცვლებოდა მისი სურათი. ცხვირ მოგრებილი დალაქი პეტრე, ღურგალი სოლოა, ყსაბი ანდრო პირველი სტუმრები იყვნენ მის ქუჩისა. ისინი ჩვეულებებისამებრ ერთად ჰკეტებდნენ დუქანებს, ერთად ჩაემებოდნენ სანდროს საარდაფში და ერთადვე ამოვიდოდნენ ხოლმე იქიდან ხელი-ხელ გადახეხულნი. ჯერ ისევ შიგ კრებად იყო ანთებული სანთლებით, როდესაც ეს სამება ერთ-არსება დაახლოვრებდნენ მის ქუჩის ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერით: „აგერ მოდის ფარანი, შიგ სანთელი არ არი“. მათ მოჰყვებოდნენ პაპროსის ქარხნის მუშები, სხვა-და-სხვა ხელოსნები და სხვები, რომელთა შორის ისეთებიც ერივნენ, რომ ვერც კი ვაარჩევდი, რა წოდების ხალხს ეკუთვნოდნენ. აქ ჰნახავდით თქვენ ტროსტი ხელში და ცილინდრით ძველ სერთუქში გამოწყობილთ, ისინი სცილობდნენ როგორმე დაეფართ კალოშებიდან შიშველი ქუსლები და ნახევარი შალვარი. ჰნახავდით აქ მხრებში ამოკვანტილ შტატ-გარეშე დარჩომილ „ჩინოვნიკს“, რომელსაც ნახევარი კაკრა-და-შეპრჩენოდა დაქულებილ კარტუზზე. ამ ქუჩის შეფარებინა ბევრი იმათგანნიც, რომელნიც ქუდა-მომხდინი სდგანან ხოლმე რომელიმე დაწესებულების, ან დიდი პირის სახლის კარებში შევიცრების წინ ქუდა-მომხდინი... ერთის სიტყვით, საღამოს ექვსი საათიდან ეს ქუჩა ცოცხლებოდა, და ტრაქტორშიკი აგორაც მხოლოდ მაშინ გადატრიალდებოდა ხოლმე დაზვიდან დახლში და გაქონდა არყის ჰიქებს წკარა-წკარო. დიად, მიუხედავად მისი სიღარიბისა, ბევრის კარგის მნახველიც იყო ქუჩა მისი. იგი მოწამე იყო, როგორც ფეციცობდნენ ერთმანეთს სიყვარულში წითელი მოსახვევი და გამჟვარტული დაკონკალი ხალათი. ის მოწამე იყო, როგორ იფიწყებდა დღისის ჰირ-ვარამს ლუდის მაგიდასთან სახე ჩაყვითლებული ბოვანო ხალხი.

შუალამე იქმნებოდა, საგსე მთვარე ისევ ისე მამაკურად გადმოჰყურებდა მდინარის პირას ვეშაპივით გადაჰიმულ ქალაქს. მისი ოქროს შუქი ჰფერავდა სამ-ოთხ სართულიან სახლების სახურავს და ელფერს უკარგავდა ელექტრონის დიდს ლამაზებას. თითქოს ამით უნდოდა ეთქვა კაცის დაუდგარ გონებისთვის, რომ „მე ვარ და მე მარტო მნათობი ღამისაო“. საღამო საათმა თორმეტი დარკვა. ქუჩებში ნელ-ნელა იკლო ხმაურობამ. მის ქუჩაზედაც მხოლოდ გგორას ტრაქტორიდან-ღა გაისმოდა ხრინწიანის ხმით: „მრავალ ჟამიერ“. ზოგ სახლებში სანთლები ჩაექროთ და მოსვენებას მისცემოდნენ. არ ეძინათ მხოლოდ ერთ სახლში, თუმცა კი იქიდან სანთლის შუქი არ გამოდიოდა, სამაგიეროდ პაწაწა ჩამტვრეულ სარკმლიდან იქ შექრილიყო მთვარის შუქი და ფენებოდა პაწაწა ოთახის გახუნებულ კედლებს. აქ შუა ოთახში, იატაკზე,

ეფინა ძველი ლოგინი, საიდანაც ვილაყის მიმქნარი სახე გამოჩნდა. ლოგინს გვერდს მოსჯდომოდა ასე თოთხმეტ-ხუთმეტი წლის ქალი. კარებთან, კუთხეში იჯდა თეთრ წვერა მოხუცი; მას თავი ხელებზე დაეხრინა, ემწეოდა, რალაც ფიქრებში იყო გართული. მეორე კუთხეში ეყარა რალაკონკი ძველები და პირმოტეხილი წყლის ქურქელი. ეს იყო მთლად ამ ოთახის აფეჯეულობა. ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ, ბერი-კაცმა მძიმედ აილა მალლა თავი, შეხება ლოგინთან მჯდომ ახალგაზრდა ქალს და შემდეგ ისე უგულოდ გამოეხმაურა, თითქოს იცოდა წინაღვე რა ჰასუსაც მიიღებდაო.

— მაშ, არ შეისმინა არც შენი თხოვნა იმ შეჩვენებულმა?!

ქალი ისევ სდუმდა. მისი გარინდებული თვალები შორს, საღამო ფიქრს გაეტაცნა.

— ღმერთო, ღმერთო, რა გვეშვლება! აქ ხომ ვერ ავაყროლებთ ამ უბედურს? — სთქვა ისევ მოხუცმა და ჩაჰკილა თავი. ამ დროს ახალგაზრდა ქალმა გაიწია წინ ხელები და ზედ დაეკონა ქვეშაგებს. პატარა ხანს უკან მხოლოდ ქვეთინი-ღა ისმოდა, ჩაკონებაც ლოგინიდან. ვინ იყვნენ ეს მოხუცი და ახალგაზრდა ქალი? „დაიბადა 189... წელს, განათლულ იქმნა ამავე წლის 20 იანვარს. ეწოდა სახელი ნიკოლოზი“, ვკითხულობთ ჩვენ მეტრიკის დავთარში. მაგრამ ძლიერ სცდებოდა ამაში მამა ეზიფანე, რადგანაც მან გარდაცვალებული ნიკოლოზს ვ—ძე დაბადებულთა დავთარში ჩასწერა, თუმცა კი მის კურთხევის ბევრი თავის გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა ამისთვის. მართლაცადა, ჯერ ერთი რომ, როდესაც მამა ეზიფანეს ეს მცირე შეცდომა მოუვიდა, სრულებით ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ დროს მოკვდებოდა ვინმე. მეორეც ესა, ამ ხანებში მამა ეზიფანემ რამდენიმე დღეინი ბავშვი მონათლა, რომელთა შორის ექვსი ნიკოლოზად იყვნენ წოდებულნი. მესამე და სულ უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ მამა ეზიფანეს არ დაუმარხავს ნიკოლოზს ვ—ძე, რადგანაც იგი არ მოკვდა, რომ დედა-მამა მხოლოდ ნაკარი-ღა ჰნახა მისი გვაძისა: ის დაიწვა ერთ ნავთის ქარხანაში ცეცხლის ქრობაში. ახსოვდა კი მამა ეზიფანეს, რომ ვილაყამ რიდაცისთვის ათი შაურო მოუტანა, ეს ნიკოლოზის ცალი იყო, რომელმაც მღვდელს სთხოვა პანაშვილი გარდაეხანდა მისი ქმრისთვის. ასე იყო თუ ისე, ცეცხლმა იმსხვერპლა ნიკოლოზი და მისი ცალ-შვილი დარჩა ღვთის ანაბარა. ამ დღიდან მისი ბებერი მამა ივანე და რვა წლის ქალი ნანა სამთხოვროდ დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში; მისი ცალი ევა კი, ცალ-თავლა ნანიკოსთან სარეცხს რეცხავდა და, როგორც იყო, დღე-დღეობით იოლად გამოდიოდნენ. დიდი ხანი არ გასტანა მათმა ამგვარმა ცხოვრებამ. ერთ ზამთრის დღეში ევა სარეცხიდან დასველებული დაბრუნდა შინ, გაცივდა და განუტევა ტანჯული სული. ეხლა მისი გვამი მესამე დღეა, რაც ისევ ლოგინში ძევს. მისი მამამთილი, გლახა ივანე და ქალი ნანა ვერა ღონისძიებას ვერსაით გაჰხდნენ, რომ მესაფლავეებისათვის მაინც მიეცათ რამ საფლავის გათხრაში. ნანამ უკანასკნელად მოსარეცხე ნანიკოს მიმპართა, მაგრამ მან ცივი უარი უთხრა, რადგანაც უბედურ ევას წინანდელი ვალიც ემართა ნანიკოსი. ეხლა ოთახში ისხდნენ მოხუცი და ახალგაზრდა ქალი და ისეთ სასო-წარკვეთილებას მისცემოდნენ ორივენი, რომ ვერც კი ჰხედავდნენ ერთმანეთის ხმის გაცემას.

მოხუცი ისევ გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ მისი ბრტყელი შუბლი თან და თან იკუმშებოდა. თვალებს თანდათან რალცნარი ელვარება ემატებოდათ, ბოლოს მთლად აკანკალდა იგი, აიწია ზეზე და ერთის თვალის დახამხამებაზე ფეხზედ წამოდგა. ამ დროს რომ ვისმე დაენახა ივანე, ვერ იფიქრებდა თუ ეს სწორეთ ის მოხუცი გლახა იყო, რომელიც ჯერ ისევ დილას ძლივ დასანსალებდა ქუჩაზედა ყავარჯენით. ვერც ივანე

გრძობდა, რა ხდებოდა იმის გულში, მას რალცა ძალი მიჰქანებდა წინ და ისიც ემორჩილებოდა მონასავით.

ღამის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ბერიკაცი ივანე გასცდა № 1 ქუჩის და შეუხვია მარჯვნივ ასეთსავე ვიწრო ქუჩისაკენ. მიდიდა გამალეული, აგერ გაიარა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, გასცდა პაწა ფიცრულ სახლს და შესდგა მეორე სახლის კარებთან. მან მიხედ-მოიხედა აქეთ იქით და რა დარწმუნდა, რომ თვალს არავინ ადევნებდა, აბობლდა ფიცრის ლობზე და გადავიდა ეზოში...

ეხლა უკვე მოხუცი ივანე ოდესღაც მარჯვე და სანაქებო მქედელი იყო. რასაც ერთი მქედელი დილიდან საღამომდის ძლივს აკეთებდა, ის შუალდემდინ მორჩებოდა ხოლმე. მაგრამ ერთი კული ზნე სჭირდა მქედელ ივანეს. როცა კი მოხვდებოდა არაყს ან ღვინოს კვირიდან კვირამდე გაბმით ლოთობდა და ხშირად იქამდინ მიდიდა, რომ ტანისამოსსაც კი ავირავებდა ტრაქტირში. მის ამფსონებს არც ერთს არ ჰქონდა მთელი ცხვირ-პირი, თვით „ტრაქტირჩიკებს“ ეშინოდათ ივანესი, ანუ, უკეთ ვთქვათ, მისი მუშტებისა, რისთვისაც გამოცვილილ სახელს დათვ-ივანეს ეძახდნენ მას. ამ „ტრაქტირებში“ ქეთფის დროს ივანეს სულ მუდამ თანა ჰყვანდა ერთი გურული ახალგაზრდა გოგო ევა. ყველასთან წარბ შეუხრელი და მკლავ-რჩია ივანე ევას პატარა გომიასავით ჰყვანდა დამორჩილებული. ივანეს ქისა საკუთარი მისი ჯიბე იყო და ისიც ჰკვიანურათ სარგებლობდა ამით. ნახევარს თუ ქებში დახარჯავდა ივანე, ნახევარს ევა ჩაიხრიალებდა ჯიბეში მის დაუკითხავათ. კარგათ იცოდა ეს ივანემ, მაგრამ მაინც ვერ მოიშორებდა ევას. ქმრის ამისთანა საქციელმა და ძალ-ღმადლო ცხოვრებამ უდროვოთ გამოსასლმა წუთისოფელს მისი კანონიერი ცალი ბაზდო. ამობონ, ივანეს კვერივით მუშტებმა მოიღწეს იგო. ცალის სიკვდილის შემდეგ უფრო უარესად მიჰყო ხელი ივანემ ქეთფს და უზნეო ცხოვრებას, ამასობაში ევას დახლიც ოზრდებოდა და ბოლოს სრულებითაც აღარა საქიროვდა ევა თავის საყვარელს. ის ასეც მოიქცა, გაანება თავი ივანეს და გახდა „მამინკა“ რამდენიმე ახალგაზრდა ქალისა. მაგრამ არც ევას შერჩა. ეს დრო და რამდენიმე წლის შემდეგ მან უფრო ლამაზებმა აჯობეს ევას მის ხელობაში. იგი იძულებულ იყო თავი დაენებებინა ამ საქმისათვის, თუმცა ხელცარიელი არ დარჩენილა ცხოვრების მეჯლისიღამ. დაქირავა მან ამავე ადგილებში ორი პაწა ოთახი და ასესხებდა ფულს თავისსავე ნაცნობებ შორის, რომელთაგან ზოგი ნიფოს უფრავებდა, თუ ჰქონდა, ზოგიც თავის სხეულს.

